

შპს სერვანტესის სახელობის
გიმნაზია აია-ჯესსს
საიდენტიფიკაციო კოდი: 208217375

შპს „სეფებანი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 400104418

შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს“

საიდენტიფიკაციო კოდი: 208217375

შპს „სეფებანი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 400104418

კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მმართველობითი ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
3.2. სავაჭრო მოთხოვნები	10
3.3. გადახდილი ავანსები	10
3.4. მარაგები	10
3.5. ძირითადი საშუალებები	11
3.6. სავაჭრო ვალდებულებები	12
3.7. საგადასახადო ვალდებულებები	12
3.7.1 ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	12
3.8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12
3.9. გამოუმუშავებელი შემოსავალი	12
3.10. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	13
3.11. შემოსავლის აღიარება	13
3.12. ხარჯების აღიარება	14
3.13. დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	14
4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	14

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს
(ს/ნ : 208217375)
შპს „სეფეზანი“
(ს/ნ : 400104418)
კონსოლიდირებული

ფინანსური მდგომარეობა:

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3.1	136,373	185,161
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	1,489,284	1,373,005
გადახდილი ავანსები	3.3	46,067	56,981
მარაგები	3.4	6,654	3,085
მზა პროდუქცია	3.4	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	3.4	0	0
ძირითადი საშუალება	3.5	1,683,379	1,552,126
არამატერიალური აქტივები	3.5	21,588	19,411
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3.5	320,329	395,823
სულ აქტივები		3,703,674	3,585,592
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.6	30,427	28,812
საგადასახადო ვალდებულებები	3.7	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3.7.1	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3.8	1,801,347	1,778,008
გამოუმუშავებელი შემოსავალი	3.9	311,263	202,518
სხვა ვალდებულებები		0	51,822
სულ ვალდებულებები		2,143,037	2,061,160
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10	10
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3.10	1,560,627	1,524,422
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		1,560,637	1,524,432
სულ საკუთარი კაპიტალი		1,560,637	1,524,432
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,703,674	3,585,592

დირექტორი:

ლ. ზოჭოიძე

/ ლელა ზოჭოიძე/

მთ. ბუღალტერი:

მთ. ბუღალტერი

/მარიანე ელიზბარაშვილი/



კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	01.01.2022- 31.12.2022	01.01.2021- 31.12.2021
ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	3.11	0	0
მომსახურების გაწევიდან	3.11	3,511,778	2,636,743
რეალიზებული პროდიქციის თვითღირებულება	3.4	0	0
საწყისი მარაგები	3.4	0	0
მარაგების შესყიდვა	3.4	0	0
საბოლოო მარაგები	3.4	0	0
საერთო მოგება		3,511,778	2,636,743
სხვა შემოსავალი	3.11	237,993	323,232
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.12	-2,641,137	-2,051,386
ცვეთა და ამორტიზაცია	3.12	-88,142	-85,011
საპროცენტო ხარჯი	3.12	62,096	34,720
იჯარის ხარჯი	3.12	-138,400	-143,703
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.12	-462,161	-214,849
სულ საოპერაციო ხარჯები		-3,029,751	-2,136,997
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	3.13	-15,101	-209,077
მიღებული დივიდენდები		0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		466,926	290,669
მოგების გადასახადი		-91,056	-40,166
მოგება/(ზარალი)		375,870	250,503

დირექტორი:

ლ. ზოჭოიძე

/ ლელა ბოჭოიძე/

მთ. ბუღალტერი:

მ. ბუღალტერი

/მარინე ელიზბარაშვილი/



კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
საკუთარი კაპიტალი			
შპს -ს კაპიტალი		1,524,432	1,508,060
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-325,579	-234,131
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3.10	375,870	250,503
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-14,086	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს		1,560,637	1,524,432

დირექტორი:

ლ. ზოჭოიძე

/ ლელა ზოჭოიძე/

მთ. ბუღალტერი:

მ. ელიზბარაშვილი

/მარინე ელიზბარაშვილი/



ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	01.01.2022- 31.12.2022	01.01.2021- 31.12.2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	430,681	435,090
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-336,722	-43,612
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-141,595	-328,672
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-47,636	62,806
საგაღუტო კურსის ეფექტი	-1,152	-38,139
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	185,161	160,494
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	136,373	185,161

შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	3,457,539	2 734 375
შრომის ანაზღაურება	2,095,507	1,653,066
ერთგვარადად შესყიდული მომსახურებები	14,498	5,540
პრემია	0,00	0,00
საკანცელარიო ხარჯი	4,732	1,821
კომუნიკაციის ხარჯი	24,987	23,572
მიმდინარე რემონტი	6,544	10,889
კომპიუტერის ხარჯი	964	767
იჯარის ხარჯი	48 000	40,000
რეკლამის ხარჯი	23,059	2,360
სახელმწიფო ბიუჯეტი	633 397	432,375
მივლინება ხარჯი	32,576	12,604
ბანკის საკომისიო	11,850	7,574
გაზის ხარჯი	15,750	26,671
წყლის ხარჯი	2,662	7,997
ელ_ენერგია	468	13,047
დასუფთავება	9 707	865
წარმომადგენლობითი ხარჯი	3 701	985
ღონისძიების მოწყობის ხარჯი	54 525	5,050
სამეურნეო, საფოსტო, სატრანსპორტო და სხვა ხარჯი	32,576	33,729
საპენსიო ხარჯი	11,355	20,373
გასავალი საოპერაციო საქმიანობიდან	3,026,858	2 299 285
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	430,681	435,090

დირექტორი:
მთ. ბუღალტერი:

ლ. ბოჭორიძე
მელა ბოჭორიძე/
მარიანე ელიზბარაშვილი/



7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 31/07/2002 წ; რეგისტრაციის # 7/4-2112

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული არ არის.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.,#10

ფაქტორბრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.,#10

საიდენტიფიკაციო ნომერი: 208217375

დამფუძნებელი და დირექტორი:

1. ლელა ბოჭორძე (პ/ნ 01019038090), 33,3 % წილის მფლობელი.

2. ნონა ბოლქვაძე (პ/ნ 01012010283), 33,3 % წილის მფლობელი.

3. რუსუდან ბოლქვაძე (პ/ნ 33001007493), 33,4 % წილის მფლობელი.

შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი საბაზო და საშუალო განათლება.

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი : 85310

შვილობილი კომპანია შპს „სეფეზანი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 08/11/2013 წ;

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 19/11/2013 წ-დან.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.,#10

ფაქტორბრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.,#10

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400104418

დამფუძნებელი: შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს“ (ს/კ 208217375), 100% წილის მფლობელი

დირექტორი: ნიკოლოზ ნაავგუსტ (პ/ნ 33001007494)

შპს „სეფეზანი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი არასაცხოვრებელი შენობის გაქირავება და მართვა.

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი : 68202

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს“-ის და შპს „სეფეზანის“ პირველ წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკიგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტების ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური კურსით. კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების/ზარალების ანგარიშში.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს	
	31.12.2022	31.12.2021
აშშ დოლარი	2.7020	3,0976
ევრო	2.8844	3,5040

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

	ანგარიში	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	97,604
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	1210	38,352
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (USD)	1220 01	417
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (EUR)	1220 02	0,00
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (GBP)	1220 03	0,00
სულ ფულადი სახსრები:		

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის მომსახურების რეალიზაციის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

3.3 გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

3.4 მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

3.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები და ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	ღირებულება	აკუმულირებული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
შენობა	25	600,671	297,369	303,302
შენობა	25	408,655	116,861	291,794
მიწა	-----	658,604	-----	658,604
მიწა	-----	42,960	-----	42,960
ოფისის აღჭურვილობა	3-5	222,119	165,703	56,416
ავტო	3-10	199,088	146,449	52,639
სატრანსპორტო საშუალება	5-10	28,050	4,341	23,709
სხვადასხვა ძირ. საშუალებები	3-5	22,476	18,326	4,150
ჯამი		2,182,623	749,049	1,433,574

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2022 წლის ბოლოს არ ქონია, ყველა საგადასახადო ვალდებულება წლის ბოლოსთვის იყო დახურული.

3.7.1 ვალდებულება თანამშრომლების მიმართ

კომპანიას 2022 წლის წლის ბოლოს არ ქონდა თანამშრომლების მიმართ სახელფასო ვალდებულებები.

3.8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.9 გამოუმუშავებელი შემოსავალი

კომპანიის საქმიანობის შედეგად პერიოდის განმავლობაში აქვს მიღებული ავანსები, რომლებიც ნაღიარები აქვს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებებთან, შესაბამისად ასახულია ვალდებულებებში ფინანსურ ანგარიშში.

3.10. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში. კომპანიას აქვს გაცემული დივიდენდები.

3.11. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს (უწევს) გადასცემს მომსახურებას, საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.12. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკურ სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.13. დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

კომპანიას უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხზე, პერიოდის განმავლობაში წარმოეშვა კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი, აღნიშნული სესხი იქნა განულებული და შესაბამისი მიღებული ზარალი ასახულია მოგება-ზარალის იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა ზემოთ აღნიშნული სესხის განულების ოპერაცია.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2022 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

„მსს ფასს“ სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი

დირექტორი:
მთ. ბუღალტერი:

ლ. ზოჭიძე
[ხელმოწერა]

/ ლელა ბოჭოიძე/
/მარინე ელიზბარაშვილი/

